კვლევის ძირითადი მიზნები:

- საქართველოს საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლება;
- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ხელშეწყობა;
- საქართველოში ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება;
- საქართველოში ელექტრონული მმართველობისა და ელექტრონული გამჭვირვალობის განვითარება.

საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდის (www.moe.gov.ge) საინფორმაციო გამჭვირვალობისა და ელექტრონული მმართველობის შეფასებითი მონიტორინგი

2011 წლის 4 ივლისი

ყველა უფლება დაცულია

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ა. მაჭავარიანის ქ. №4, ბინა1. 0179. საქართველო, თბილისი.

Tel: +995322 996364.

www.idfi.ge / www.opendata.ge

info@idfi.ge

საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრო

www.moe.gov.ge

გამოვლენილი ძირითადი ხარვეზები და რეკომენდაციები




ინფორმაციის არსებობა ვებ-გვერდზე
წარმოდგენილი ინფორმაციის ხარისხი
1. ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ
60,87%
78,21%
2. საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა
75,00%
61,00%
3. მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ
60,00%
26,00%
4. ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები
64,29%
33,61%
5. სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა
56,52%
32,85%
6. საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას
38,46%
18,10%
7. ს-დ საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები
0,00%
0,00%
8. საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა
80,00%
20,00%
9. საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)
50,00%
15,00%
0,00%
50,00%
100,00%

საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს ვებ-გვერდზე არ მოიძიება:

- **ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ**

1. სამინისტროს მოქმედი დებულების თანახმად მინისტრს გააჩნია მნიშვნელოვანი კომპეტენცია. აღნიშნულის შესახებ საჭიროა ინფორმაციის არსებობა შესაბამის ქვე-განყოფილებაში - ,,მინისტრი". ზოგადად, კომპეტენციის აღწერისას უნდა იქნას გამოყენებული უპირველეს ყოვლისა შესაბამისი დებულებით მინისტრზე განსაზღვრული ფუნქცია-მოვალეობები; აღსანიშნავია, რომ გარემოს დაცვის სამინისტროს ვებ-გვერდზე არ მოიძიება იმ საჯარო თანამდებობის პირზე მითითება, რომელიც კანონმდებლობის თანახმად ნიშნავს და ათავისუფლებს თანამდებობიდან მინისტრს. ვებ-გვერდზე აგრეთვე არ მოიძიება მინისტრის არცერთი საკონტაქტო რეკვიზიტი: სამუშაო ელ.ფოსტა, მისაღების (თანაშემწის) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები:



2. ვებ-გვერდზე არ მოიძიება მინისტრის მოადგილეთა არცერთი საკონტაქტო რეკვიზიტი: სამუშაო ელ.ფოსტა, მისაღების (თანაშემწის) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები. აუცილებელია, რომ ვებ-გვერდზე არსებობდეს მინისტრის ყველა მოადგილის კომპეტენციის (უფლება-მოვალეობების) სრულყოფილი აღწერა.

3. ვებ-გვერდზე აგრეთვე არ მოიძიება საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს შენობის მდებარეობის აღმნიშვნელი რუკა, ვებ-გვერდის ოფიციალურობის დამადასტურებელი წერილობითი აღნიშვნა და ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან მუშაობის გრაფიკი.

4. საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს მოქმედი დებულების თანახმად სამინისტროს გააჩნია საკმაოდ ფართო საქმიანობის სფერო, მიზნები და ამოცანები. სასურველია აღნიშნულის შესახებ ინფორმცაია სრულად იყოს განთავსებული განყოფილებაში „სამინისტროს შესახებ“:

სამინისტროს შესახებ

სამინისტროს შესახებ

Ministry of Environment Protection of Georgia

1995 წლის კონსტიტუციის თანახმად, საქართველომ იკისრა ვალდებულება - დაიცვას ადამიანის ძირითადი უფლება - ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი და კულტურული გარემოთი, მიიღოს სრული, ობიექტური და დროული ინფორმაცია მისი სამუშაო ადგილისა და საცხოვრებელი გარემოს მდგომარეობის შესახებ, ხელი შეუწყოს ბუნებრივი რესურსების რაციონალურ და მდგრად გამოყენებას. საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ მიღებული იქნა 1996 წელს.

საქართველოში პირველი სახელმწიფო გარემოსდაცვითი ორგანო შეიქმნა 1974 წელს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის სახით. მისი საქმიანობა ძირითადად სახელმწიფო კონტროლისა და დარგთაშორისი კოორდინაციის ფუნქციით შემოიფარგლებოდა. 1991 წელს კი შეიქმნა გარემოს დაცვის სამინისტრო.

სამინისტროს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ქვეყნის მდგრადი განვითარების ხელშეწყობა; გარემოს დაცვის დაგეგმვის სისტემის ორგანიზება; გარემოს დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის, მიზნობრივი პროგრამების, გარემოს დაცვის მდგრადი განვითარების სტრატეგიის, მოქმედებათა ეროვნული პროგრამის და სამენეჯმენტო გეგმების შემუშავება და განხორციელება, ატმოსფერული ჰაერის, წყლის, მიწის, წიაღისა და ბიომრავალფეროვნების, ქვეყნისათვის დამახასიათებელი იშვიათი, საფრთხის წინაშე მყოფი ფლორისა და ფაუნის სახეობების, თვითმყოფადი ლანდშაფტებისა და ეკოსისტემების დაცვა და შენარჩუნება, ნარჩენების და ქიმიური ნივთიერებების სფეროში სახელმწიფო მართვის (რეგულირება, ლიცენზირება, აღრიცხვა, ზედამხედველობა და კონტროლი) ფუნქციის განხორციელება; თავისი კომპეტენციის ფარგლებში გარემოს დაცვის სფეროში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი და საერთაშორისო ვალდებულებათა შესრულება.

5. ვებ-გვერდზე სტრუქტურული ქვედანაყოფების ტელეფონის ნომრები მოცემულია არა განყოფილებაში - ,,კონტაქტი“, არამედ მიმოფანტულია, ქვე-განყოფილებაში - “სამინისტროს ცენტრალური აპარატი“:

სამინისტროს შესახებ >> სამინისტროს ცენტრალური აპარატი >> იურიდიული დეპარტამენტი

იურიდიული დეპარტამენტი

საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს **იურიდიული დეპარტამენტი** წარმოადგენს სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფს. დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულებია: **სამართლებრივი აქტების მომზადებისა და ექსპერტიზის სამმართველო** და **სასამართლო დავების უზრუნველყოფის სამმართველო.**

დეპარტამენტის ფუნქციები და ამოცანებია: სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების და სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების მიერ შემუშავებული ნორმატიული აქტების პროექტებზე სამართლებრივი დასკვნების მომზადება, სამინისტროს საპარლამენტო მდივნის საქმიანობის უზრუნველყოფა, სამინისტროში მომზადებული საკანონმდებლო აქტების პროექტების საქართველოს მთავრობაში წარდგენის პროცედურების კოორდინაცია, სამინისტროს წარმომადგენლობის უზრუნველყოფა საქართველოს სასამართლოებში, სამინისტროს საქმიანობასთან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხების ანალიზი, სამინისტროს კანონშემოქმედებითი საქმიანობა, საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაციის უზრუნველყოფა საერთაშორისო გარემოსდაცვით კანონმდებლობასთან (კონვენციებთან), კომპეტენციის ფარგლებში მოქალაქეებისგან და სხვა იურიდიული პირებისგან მიღებული განცხადებების, საჩივრებისა და წერილების განხილვა.

მისამართი: თბილისი, გ. გულუას ქუჩა N6
ტელ: 72 72 29

- **საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა**

6. ვებ-გვერდზე არ მოიძიება საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს სტრუქტურული ქვედაყოფების ელექტრონული ფოსტის მისამართები (საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურისა და ბიომრავალფეროვნების დაცვის სამსახურის გარდა).

7. ვებ-გვერდზე არ მოიძიება საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელთა სახელები და გვარები (შიდა აუდიტის სამსახურის უფროსის გარდა), ფოტოსურათები, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები და კომპეტენციის აღწერა; აგრეთვე არ მოიძიება, სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელთა საკონტაქტო რეკვიზიტები: სამუშაო ელ.ფოსტები, მისაღების (თანაშემწეების) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები:



- **მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ**

8. საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს ვებ-გვერდზე არ არის მოცემული მნიშვნელოვანი მონაცემთა ბაზები, კერძოდ: ადმინისტრაციული ხელშეკრულებები, ტენდერები (არსებობს განყოფილება "განცხადებები/ტენდერები", თუმცა მასში არ არის განთავსებული არანაირი ინფორმაცია სამინისტროს მიერ გამოცხადებული ტენდერების შესახებ), აგრეთვე სახელმწიფო, ეროვნული და მიზნობრივი პროგრამების ბაზა.

9. არ მოიძიება შემოსული/გასული კორესპონდენციის რეგისტრი.

- **ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები**

10. წლიური ანგარიშებისათვის ალოგიკურ განყოფილებაში ,,საზოგადოებასთან ურთიერთობა" (ქვე-განყოფილება - ,,წლიური ანგარიშები") მოცემულია მხოლოდ სამინისტროს 2006, 2007, 2008 დათარიღებული ანგარიშები, ხოლო სამინისტროს 2010 წლის ანგარიში მოიძიება ძალზედ

რთულად განყოფილებაში - „სიახლეები“). სამწუხაროდ ვებ-გვერდზე არ მოიძიება 2009 წლის წლიური ანგარიში. სასურველია განცალკევებულად არსებობდეს ქვე-განყოფილება ,,წლიური ანგარიშები“, სადაც იქნება მოყვანილი სამინისტროს საქმიანობის ყოველწლიური ანგარიში და მიმდინარე კვარტალური მოხსენებები/ანგარიშები:

11. საჭიროა ვებ-გვერდზე განცალკევებულად არსებობდეს ქვე-განყოფილებები - ,,საერთაშორისო პარტნიორობა“ და ,,პარტნიორობა საქართველოს ორგანიზაციებთან“, სადაც მოყვანილი იქნება პარტნიორობის შესაბამისი ტექსტური ინფორმაციული აღწერა და საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს პარტნიორ ორგანიზაციათა ვებ-გვერდების ბმულები.

12. ვებ-გვერდზე არ მოიძიება მონაცემები იმ ძირითადი მაჩვენებლების შესახებ, რომლებიც ასახავენ საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს საქმიანობის ძირითად სფეროებში არსებულ სიტუაციასა და მათ განვითარების დინამიკას. აგრეთვე, არ მოიძიება სამინისტროს მიერ მომზადებული პროგნოზები.

13. პროექტებისთვის ალოგიკურ განყოფილებაში „სიახლეები", განთავსებულია ქვე-განყოფილება „პროექტები“, ხოლო ინფორმაცია იმ სახლემწიფო ან მიზნობრივი პროგრამების შესახებ რომლის შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს გარემოს დაცვის სამინისტრო ვებ-გვერდზე სრულიად არ არის წარმოდგენილი. სასურველია სამინისტროს ვებ-გვერდზე არსებობდეს ერთიანი (ქვე-)განყოფილება - ,,პროგრამები/პროექტები“, რომელიც მოიცავს იმ პროექტებისა და სახელმწიფო, მიზნობრივი *და ა.შ.* პროგრამების ჩამონათვალს, რომლის დამკვეთი, შემსრულებელი ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს სამინისტრო. მოცემული (ქვე-)განყოფილება აგრეთვე უნდა მოიცავდეს პროექტებისა და პროგრამების ფარგლებში მიმდინარე ღონისძიებათა შესახებ სრულ ცნობებსა და მათი შესრულების შესახებ მოხსენებებს:

- **სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა**

14. განყოფილებაში „კანონმდებლობა“ სასურველია ყველა აქტი მოყვანილ იქნეს მოქმედი მდგომარეობით. (სამინისტროს დებულება, საქართველოს კონსტიტუცია, მთავრობის დადგენილებები, უმეტესობა სამართლებრივი აქტებისა მოცემულია ძველი მდგომარეობით). აღსანიშნავია ისიც, რომ ქვე-განყოფილება „ბრძანებები“ იუწყება, რომ - “მიმდინარეობს რეკონსტრუქცია“. აგრეთვე არ მოიძიება საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს პრემიერ-მინისტრის საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტები:



- **საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას**

15. საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს ვებ-გვერდზე არ მოიძიება ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიმართვათა მიმოხილვა.

16. ვებ-გვერდზე საერთოდ არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს საქმიანობის შესახებ, რომელიც დაკავშირებულია ინფორმაციის თავისუფლებასთან / საჯარო ინფორმაციის ღიაობასთან: ვებ-გვერდზე არ არსებობს საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებული განცალკევებული განყოფილება. არ მოიძიება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურის ვინაობის (სახელი და გვარი), თანამდებობისა და საკონტაქტო რეკვიზიტების შესახებ ინფორმაცია, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა გასაჩივრების შესახებ ცნობები და სამინისტროში შესული საჯარო ინფორმაციის გაცემასა და გაცემის მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია. აგრეთვე ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრისა და საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ჩამოსატვირთი ფორმები/ნიმუშები.

17. ვებ-გვერდზე არ მოიძიება საქართველოს გარემოს დაცის სამინისტროს მიერ სანებართვო საქმიანობის განხორციელების შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაცია. კერძოდ:

- ვებ-გვერდზე არ მოიძიება სანებართვო საქმიანობის საფასურის შესახებ ინფორმაცია;
- ვებ-გვერდზე არ მოიძიება სანებართვო საქმიანობის განხორციელებაზე უარის თქმის ან ამ ქმედებათა განხორციელების შეჩერების კრიტერიუმების აღწერა;
- ვებ-გვერდზე არ მოიძიება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული განცხადების ფორმები, რომლებიც აუცილებელია სანებართვო საქმიანობის განსახორციელებლად;
- ვებ-გვერდზე არ მოიძიება ზემოთხსენებული თითოეული განცხადების ფორმის შევსების ინსტრუქცია;
- ვებ-გვერდზე არ მოიძიება მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის გადახდისათვის განკუთვნილი რეკვიზიტები;
- ვებ-გვერდზე არ მოიძიება საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს იმ თანამდებობის პირთა სახელები და გვარები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან სანებართვო და სხვა სახის სახელისუფლებო ქმედებათა განხორციელებაზე;
- ვებ-გვერდზე არ მოიძიება საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს თანამდებობის პირთა საკონტაქტო რეკვიზიტები (ტელეფონის ნომრები, ელ. ფოსტები), რომლებიც პასუხისმგებელნი არიან სანებართვო და სხვა სახის სახელისუფლებო ქმედებათა განხორციელებაზე;
- ვებ-გვერდზე არ მოიძება სანებართვო ქმედებათა განხორციელებასთან დაკავშირებით საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ ფიზიკური და იურიდიული პირების მიღებისა და მათთან მუშაობის გრაფიკი.

- **საჯარო დაწესებულების საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები**

18. მართალია,სამინიტროს ვებ-გვერდზე არსებობს განყოფილება "განცხადებები/ტენდერები", თუმცა მასში არ არის განთავსებული არანაირი ინფორმაცია სამინისტროს მიერ გამოცხადებული ტენდერების შესახებ. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს ვებ-გვერდზე არ მოიძიება ადმინისტრაციულ ხელშეკრულებათა ბლოკი/განყოფილება, სადაც მოყვანილი იქნებოდა სამინისტროსა და ფიზიკურ/იურიდიულ პირებს შორის, აგრეთვე სამინისტროსა და სხვა საჯარო დაწესებულებას შორის გაფორმებულ ადმინისტრაციულ (სამოქალაქო/სამართლებრივ) ხელშეკრულებათა ჩამონათვალი და პირობები. აგრეთვე სასურველია, რომ განყოფილება "განცხადებები/ტენდერები" ერთმანეთისგან განცალკევებულად არსებობდეს:

- **საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა**

19. სასურველია ვებ-გვერდზე განყოფილებაში „ვაკანსია" არსებობდეს საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის პროცედურებისა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების წაყენების, მათი ადმინისტრაციული წარმოების გზით გასაჩივრების წესის აღწერა.

20. საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს ვებ-გვერდზე განყოფილებაში „ვაკანსია" განთავსებულია 2010 წლით დათარიღებული ტყის მცველთა შესარჩევ კონკურსში მონაწილეთა სპორტული ნორმატივების შედეგები), თუმცა არ მოიძიება მონაწილეთა პერსონალური მონაცემების ვებ-გვერდზე განთავსების (გამოქვეყნების) თანხმობაზე მითითება (თანხმობის მიღება, სამართლებრივი აქტის პირობა, თანხმობის სხვა ფორმა და ა.შ). აგრეთვე არ მოიძიება

კონკურსანტთა თანხმობაზე მითითება მათი პირადი ინფორმაციის გამოქვეყნების შესახებ, რომლებმაც არ ჩააბარეს სპორტული ნორმატივები:



- **საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)**

21. ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი ფინანსური ხასიათის ინფორმაცია:

- არ მოიძიება გარემოს დაცვის სამინისტროსთვის გამოყოფილი სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების შესახებ სრულყოფილი ინფორმაცია;
- არ მოიძიება გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ ბიუჯეტის შესრულების ბალანსისა და ბიუჯეტის ასიგნებების ხარჯვის შესახებ უახლესი ინფორმაცია;
- არ მოიძიება საჯარო სამსახურებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელი თანამდებობის პირთა ჩამონათვალი და საშტატო განრიგი/გარემოს დაცვის სამინისტროს კონკრეტულ საშტატო ერთეულზე გათვალისწინებული ფინანსური განაკვეთების შესახებ ინფორმაცია;
- არ მოიძიება გარემოს დაცვის სამინისტროს სრული სისტემის თანამშრომლებზე გაცემული ხელფასების, დანამატების და დარიცხული პრემიების წლიური ოდენობების შესახებ ინფორმაცია (კონკრეტულ პირთა ვინაობაზე მითითების გარეშე);

აღსანიშნავია, რომ გარემოს დაცვის სამინისტროს ვებ-გვერდი სხვა საჯარო დაწესებულებების ვებ-გვერდებთან შედარებით გამოირჩევა საკმაოდ კარგი მაჩვენებლებით, თუმცა აუცილებელია, რომ ვებ-გვერდზე მოიძიებოდეს სამინისტროს საქმიანობის ამსახველი ყოველწიური ანგარიშები, სამინისტროს მიერ გამოცხადებულ ვაჭრობათა შესახებ ინფორმაცია (ტენდერები) და ფინანსური ხასიათის ინფორმაცია. აგრეთვე აუცილებელია, რომ სამინისტროს ვებ-გვერდზე განთავსებული საკანონმდებლო ბაზა მოყვანილ მოყვანილ იქნეს ახალი მდგომარეობით. უნდა აღინიშნოს, რომ ქვე-განყოფილებაში „პრეს-რელიზების არქივი“ გვერდი ხუთიდან - გვერდი თხუთმეტის ჩათვლით განთავსებული ინფორმაცია არ იკითხება, რაც მოითხოვს ხარვეზის გამოსწორებას.

შეფასება ვებ-გვერდის ელექტრონული კომპონენტის მიხედვით:




ვებ-გვერდის ელ-მმართველობის ხარისხი
ტექნიკური პარამეტრის არსებობა ვებ-გვერდზე
1. ნავიგაცია
88,89%
2. ძიება
20,00%
3. მარტივად აღქმის კრიტერიუმები
55,56%
4. საკონტაქტო ფორმები და წესები
25,00%
5. ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა
40,00%
6. ადაპტაცია მობილურ კავშირგაბმულობასთან WAP
0,00%
7. სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი
70,00%
8. ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან
42,86%
9. ელექტრონული ჩართულობა
0,00%
10. ელექტრონული სერვისები
9,09%
0,00%
12. უსაფრთხოება
0,00%
13. დამატებითი მნიშვნელოვანი პარამეტრები
58,33%
0
0,2
0,4
0,6
0,8
1

- **ნავიგაცია**

მთავარ მენიუში პუნქტი „კონტაქტი“ არ არის, იგი გადატანილია ვებ-გვერდის დაბლითა მხარეს, რაც ართულებს მის მოძიებას. თუ მენიუში საკონტაქტო გვერდის პუნქტი არ ეტევა, საჭიროა საიტის თავში ხატულას განთავსება, რომელიც გადაიყვანს მოხმარებელს საკონტაქტო გვერდზე:



ვებ-საიტზე არსებობს უამრავი გვერდი, ნავიგაცია კი მოწყობილია რთულად. ჩვეულებრივი მომხმარებლისთვის, რომელიც პირველად სტუმრობს ვებ-გვერდს რთული აღსაქმელია როგორ მოიძიოს მისთვის სასურველია ინფორმაცია:



- **მარტივად აღქმის კრიტერიუმები**

ვებ-გვერდზე არსებობს ისეთი სათაურები, რომლებიც არაფრით გამოირჩევა ტექსტისგან. საჭიროა ასეთი სათაურების ზომის გადადიება:

http://moe.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=40&info_id=1533

- **სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი**

ვებ-გვერდში აღინიშნება წვრილმანი ხარვეზები, მაგალითად როგორიც არის ეს:



- **ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან**

ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან ამ ეტაპზე არასრულია, შესაძლებელია სოც. ქსელების უკეთესად გამოყენება, მაგალითად კონტენტის შეფასების, გაზიარების გზით და სხვა დეტალებით - (ვებ-გვერდში გაზიარების ფუნქცია არსებობს, თუმცა მხოლოდ რამოდენიმე კატეგორიას აქვს).

სიახლეები >> ახალი ამბები

გოგა ხაჩიძე საფრანგეთის განვითარების სააგენტოს დელეგაციას შეხვდა

2011-07-12

საფრანგეთის განვითარების სააგენტოს (AFD) დელეგაცია ოფიციალური ვიზიტით **გარემოს დაცვის სამინისტროს** ეწვია. მინისტრი **გოგა ხაჩიძე** სააგენტოს გენერალური დირექტორის მოადგილეს **ჟან-ჟაკ მუანვილს** და საქართველოში **საფრანგეთის საელჩოს** წარმომადგენლებს შეხვდა.

შეხვედრაზე მხარეებმა დაცული ტერიტორიების, ბიომრავალფეროვნების, ნარჩენების მართვის, საქართველოსა და საფრანგეთის განვითარების სააგენტოს შორის ორმხრივი თანამშრომლობის შესახებ იმსჯელეს. ფრანგმა სტუმრებმა განსაკუთრებული დაინტერესება დაცული ტერიტორიების მიმართ გამოხატეს და სამომავლო გეგმებზე ისაუბრეს.

საქართველოში საფრანგეთის განვითარების სააგენტოს (AFD) ვიზიტი მიზნად ისახავს სააგენტოს საქმიანობის გაფართოების პერსექტივების განხილვას და თანამშრომლობის გაღრმავებას.

გაუზიარე

<<უკან

- **უსაფრთხოება**

უსაფრთხოების ტესტირების დროს, გამოვლინდა ერთი უცნაური შეცდომა:



იგივე ვებ-გვერდი ოღონდ HTTPS პროტოკოლით არსებობს, თუმცა გარემოს დაცვის სამინისტროს მაგივრად იტვირთება ბანკი რესპუბლიკის ვებ-გვერდი.

ასეთი ხარვეზის მიზეზები გაუგებარია, თუმცა ფაქტი ერთია რომ HTTPS-ს პროტოკოლით moe.gov.ge იგივე ვებ-გვერდი უნდა იყოს და არა სხვა.

ვებ-გვერდის ზოგადი შეფასება

ვებ-გვერდი საერთო ჯამში კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს, თუმცა გარემოს დაცვის სამინისტროს აქვს რესურსი, რომ ვებ-გვერდში განათავსოს სხვა და სხვა სერვისები, მოახდინოს უფრო მჭიდრო ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან, გაუმჯობესოს საიტის კონტენტის ძიების მოდული და ა.შ.